საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 74

03 02 2017 წ.

ქ. თბილისი

ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის მე-3 პუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2017 წლის 03 თებერვლის №95581 სამსახურებრივი ბარათისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმების წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების, მათ შორის, ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი თამარ სანიკიძე

დანართი

ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტის სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან შეთანხმების წესი

მუხლი 1.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად მის განმახორციელებელ დაწესებულებებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტს (შემდგომში - პროექტი) განიხილავს და ითანხმებს ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 2.

1. პროექტით განისაზღვრება:

ა) ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და განხორციელების ფორმები, მათ შორის:

ა.ა) ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, განხორციელებისა და მასში ცვლილების შეტანის წესი;

ა.ბ) ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა სწავლების ორგანიზების თავისებურებების მითითებით;

ა.გ) ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის შესახებ შეთანხმება, ადამიანური და მატერიალური რესურსების კონსოლიდაციისა და ოპტიმალური განაწილების წესები;

ა.დ) ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად რელევანტური შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები;

ა.ე) ერთობლივი მიდგომები გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად;

ა.ვ) ერთობლივი მიდგომები ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფილსა და პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების შეფასებასთან დაკავშირებით.

ბ) ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ერთობლივი აკადემიური ხარისხის მინიჭების წესი, რაც ითვალისწინებს, მათ შორის:

ბ.ა) კვალიფიკაციის მინიჭებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის წესს;

ბ.ბ) სტუდენტის მიღწევების შეფასების, კრედიტის მინიჭებისა და აღიარების წესებს;

ბ.გ) ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმს.

გ) ერთობლივ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები, რაც ითვალისწინებს, მათ შორის:

გ.ა) სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესებს;
გ.ბ) სახელმწიფო სასწავლო გრანტისა და სწავლის საფასურის განაწილების წესებს.

მუხლი 3.

1. ცენტრი ითანხმებს პროექტს, თუ იგი სრულად მოიცავს ამ წესის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას და შესაბამისობაშია მოქმედი სამართლებრივი აქტებით დადგენილ რეგულაციებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცენტრი პროექტის წარმდგენ დაწესებულებას უბრუნებს პროექტს შესაბამისი შენიშვნებითა და რეკომენდაციებით.
2. ცენტრთან შეთანხმების საფუძველზე დაწესებულებებს შორის ფორმდება ხელშეკრულება.